

კაათა გუგუშვილი

საყოველთაო ენის სოციოლოგიური
ასპექტები

„მაცნე“, 1968, № 6

(ცალკე ამონაბეჭდი)



წერილები

საყოველთაო ენის სოციოლოგიური ასპექტები

კ. გუგუშვილი

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი)

საერთაშორისო შეხვედრებზე, კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე, მეტ-ნაღლები ზოპითა და სიმწვავით, თეორიულად ყოველთვის დღის წესრიგშია ერთი საკითხი, რომელიც, ნამდვილად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სპეციალურ (ლინგვისტურ) კონგრესებს, იშვიათადაა წარმოდგენილი, როგორც პროგრამით გათვალისწინებული მსჯელობის საგანი.

— ესაა საერთაშორისო შეხვედრებზე სახმარი ენის საკითხი. მსოფლიო კონგრესის ოფიციალურ ენას, ჩვეულებრივ, უწოდებენ ერთ ან ორ-სამ ენას, რომელთა შორის ერთი ადგილობრივია. მაგალითად, იტალიაში—იტალიური, სსრ კავშირში—რუსული და ა. შ.

საერთაშორისო შეხვედრების მონაწილეთა დიდმა ნაწილმა, ჩვეულებრივ, ერთმანეთს ენა არ იცის და მთარგმნელი, როგორც ურთიერთგაგებინების საშუალება, ყველა ასეთ შემთხვევაში აუცილებელი აგენტია. ამასთანავე საუკეთესო მთარგმნელი, შესაბამისი სპეციალობისა ცი, მხოლოდ თავისებური გადამცემია და მისი მეშვეობით დამყარებული კავშირი არასოდეს შეიძლება ისე ახლობლური და სრულქმნილი გახდეს, როგორცაა ერთ (საერთო) ენაზე მოლაპარაკეთა შორის დამყარებული ურთიერთობა.

ამ მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობა იქმნება არა მხოლოდ მეცნიერულ კონგრესებზე.—სადაც ერთი დარგის მეცნიერებს სურთ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი კვლევა-ძიების მიღწევები, ან ცდები, მოსაზრებანი, მიხედვანი, ოცნებანი. ზრახვანი და სხვა, — არამედ საერთაშორისო დიპლომატიურ შეხვედრებზეც, სადაც სხვადასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები მოწადინებულნი არიან ერთმანეთს გააცნონ და დაუსაბუთონ თავიანთი მისწრაფებანი და სურვილები. ცნობილია შემთხვევები, როდესაც არამცთუ ამა თუ იმ სიტყვის არაზუსტი თარგმანი, არამედ თვით ტერმინის, ხშირად ინტერნაციონალური ტერმინის, სხვადასხვანაირი გაგება და თარგმანი იწვევს დიდ დაბრკოლებებსა და გაუგებრობებს, — არამცთუ მხოლოდ საერთაშორისო მეცნიერულ და დიპლომატიურ ურთიერთობაში, არამედ მსოფლიო ვაჭრობის (გაცვლის), ტურიზმის, კავშირგაბმულობის, ცნობათა გადაცემის, საერთო ინფორმაციის, კომუნიკაციის სფეროში.

* საკითხის განხილვის წესით.

საქართველოს
პარლამენტის
პროზესული
ბიბლიოთეკა

ასეთი ვითარება, ბუნებრივია, იწვევს ადამიანთა მისწრაფებას „ბაბილონის ვოდოლის“ განუხორციელებლობის მიზეზის მოსპობისაკენ. — ბადებს სურვილს, რათა ყველა ქვეყნის და რასის, ყველა სარწმუნოებისა და ეროვნების ადამიანს ჰქონდეს ურთიერთგაგებინების საუკეთესო საშუალება — საერთო ენა. რაც, საბოლოოდ, საყოველთაო ენის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

სხვადასხვა რასის, ერისა და კონტინენტის ადამიანთათვის საყოველთაო ენის შემუშავების იდეა გულისხმობს ასეთი ენის წარმოქმნის სხვადასხვაგვარ შესაძლებლობას:

1. ყველაზე უფრო გავრცელებულ ნაციონალურ ენათაგან ერთ-ერთი ერთიანი მსოფლიო მეურნეობის, მსოფლიო საზოგადოებრიობის, საერთოდ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების პროცესში თანდათანობით გადაიქცევა ყველა ნაციისათვის საყოველთაო ენად. ამისათვის ეს ენა აითვისებს ძველი და ახალი ცივილიზაციების შემქმნელ სხვადასხვა ნაციათა ენებიდან ყველა ინტერნაციონალურ და სხვ. სპეციფიკურ სიტყვას, რითაც ფრიალ გააფართოებს თავის ლექსიკურ ფონდს: — ასე რომ, სულ სხვადასხვა ეთნიკური, ეროვნული და რასობრივი წარმომავლობის ხალხებს შეეძლებათ თავიანთ ურთიერთობაში თავისუფლად გამოიყენონ ეს საყოველთაო ენა.

ესადა, რომელიმე ნაციონალური ენის მსოფლიო და ამდენადვე საყოველთაო ენად გარდაქმნა უადრესად ძნელი და ფრიალ ხანგრძლივი პროცესია. ისტორიულად ცნობილია რიგი „მსოფლიო ენა“, მაგალითად. ბერძნული, ლათინური, არაბული, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში შორს გასცილდნენ შესაბამისი ერების განსახლების ტერიტორიულ ფარგლებს; გავრცელდნენ სხვადასხვა ნაციათა შორის და შეიქმნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა კავშირის აღიარებულ საშუალებებად¹. მაგრამ დიდი რევოლუციების, ძლიერი სპინდრო-პოლიტიკური გარდატეხების შედეგად, მოცემული ერის თუ პოლიტიკური გაერთიანებების დაცემის შემდეგ, შესაბამისი ენაც თანდათანობით იძირებოდა ისტორიის უკიდვანო და უძირო მორევში.

ნაციონალური ენის საყოველთაო ენად გარდაქმნას უდიდესი დაბრკოლება ელოდება თითქმის ყველა დანარჩენი ხალხის ნაციონალური თავმოყვარეობისა და ენობრივი და კულტურული გათიშულობის სახით, რამდენადაც ნაციონალური უცხოურობისა და სპეციფიკურობის დაძლევა (ნიველირება). ბევრად უფრო ძნელია, ვინემ საუკუნეებრივად განმტკიცებულ კლასობრივ (წოდებრივ) განსხვავებულობათა ლიკვიდაცია².

2. საყოველთაო ენად იქცევა სავსებით ახალი (ხელოვნური), თავისი წარმოშობით ინტერნაციონალური ენა, რომელიც შემუშავებული იქნება მეცნიერების ყველა მიღწევის საფუძველზე და იგი თავისთავში და უფრო მაღალ დონეზე შეიწოვს ენობრივი კავშირის, გამომთქმელობის, აზრის ურთიერთგაზიარების ყველაზე უფრო სრულქმნილ საშუალებებს, მასალას, თვისებებს, რაც კი გააჩნია ყველაზე განვითარებულ და მდიდარ ნაციონალურ ენებს. საერთოდ ყველა ხალხის ენებს.

¹ M. Monnerot - Dumaine, Précis d'Interlinguistique général et spécial, 1960. Paris.

² Н. Ю ш м а и о в, Элементы международной терминологии, М., 1968; А. Р е ф о р м а т с к и й, Что такое термины и терминология, 1959. М.

³ Язык и общество, М., 1968; Р. Ш о р, Язык и общество, М., 1926.

სხვადასხვაგვარი შეზღუდვა არსებობს თვით საყოველთაო ენის გამოყენებითობისა და გავრცელებადობის შესახებაც.

ერთნი ფიქრობენ, რომ საყოველთაო ენა მხოლოდ სხვადასხვა ნაციის წარმომადგენელთა კავშირის საშუალება იქნება და მის პარალელურად ნაციონალური სახელმწიფოს (ქვეყნის) შიგნით იარსებებს ნაციონალური ენები. მაშასადამე, ლიტერატურა და სხვ. მაგრამ, ამასთანავე, შეიქმნება ინტერნაციონალური ლიტერატურა და, მაშასადამე, კომუნიკაციის, ინფორმაციის საშუალებები; ისე რომ, ნაციონალური ენიდან საკმარისი იქნება ამა თუ იმ თხზულების თარგმნა მხოლოდ ერთ საყოველთაო ინტერნაციონალურ ენაზე, რათა ყველა ნაციის ადამიანს შეეძლოს მისი წაიკითხვა.

მეორენი ვარაუდობენ, რომ სრულქმნილი ინტერნაციონალური ენა (ინტერლინგვა) როგორც კი შეიქმნება, ისე გავრცელდება და ღრმად დაინერგება ყველა ქვეყანაში, რომ სრულ დაეიწყებას მიეცემა ნაციონალური ენები, ლიტერატურები და სხვ., ისინი მარტოოდენ ვერც სპეციალისტების, ძველი ენების და ლიტერატურების მოყვარულთა დაკვირვების საგნად დარჩებიან, რამდენადაც ცნობათა გადაცემის, კომუნიკაციების სრულქმნილი საშუალებები ფრიად გააადვილებენ საყოველთაო ენის, ინტერლინგვის ათვისებასა და ფართოდ გამოყენებას, რასაც ხელს შეუწყობს ფრიად განვრცობილი ინტერნაციონალური, მსოფლიო კულტურული და ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი კავშირები.

ასეთი ხელოვნურად შექმნილი საყოველთაო ენის უპირატესობაზე ფიქრობენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორც არიან ი. ბოდუენ დე კურტენე, ა. მაიე, ე. სეპირა, ო. იესპერსენი, ჰ. შუხარდტი და სხვ.

რა თქმა უნდა, გარკვეულ ადგილს იჭერს მოსაზრება, რომლის თანახმად პირველ ეტაპზე საყოველთაო ენა იქნება არა ერთ-ერთი, არამედ პარალელურად ორივე დასახელებული გზით წარმოშობილი ორი, ან რამდენიმე ენა და მხოლოდ კაცობრიობის განვითარების უმაღლეს საფეხურზე შეიძლება, საბოლოოდ, დროის ეკონომიის საყოველთაო პრინციპმა გამოიწვიოს ერთ საყოველთაო ენაზე გადასვლა.

თუ საერთოდ კაცობრიობის ცივილიზაციას ერთ საყოველთაო ენაზე გადასვლა უწყრია, ეს პროცესი სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს. მაგრამ ამისათვის იმდენად დიდი სიძნელეები უნდა იქნეს გადალახული, რომ არსებულ ენათარებაში, ისტორიის განვითარების მოსახილველ პერიოდში, ეს იდეა ფრიად უტოპიური ხასიათისა მოჩანს.

საქმე ისაა, რომ ფრანგული აკადემიის მიერ 1928 წ. გამოქვეყნებულ ცნობარის თანახმად, მსოფლიოში სამ ათასამდე ენაზე ლაპარაკობენ. აკად. ნ. მარი ფიქრობდა, რომ მთელ დედამიწაზე მხოლოდ ცოცხალ ენათა რაოდენობა დაახლოებით ხუთი ათასს შეადგენს. მაგრამ ენაა ნაციონალური ენები, ხოლო დიალექტების რაოდენობას კიდევ ბევრად მეტს ვარაუდობენ. პიქტოგრაფული და სიმბოლური დამწერლობიდან მოყოლებული, მრავალ ძველ და ახალ ნაციას მრავალგვარი დამწერლობა გააჩნია⁴.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ინდოეთში, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 0,5 მილიარდს შეადგენს, აღრიცხულია ორასზე მეტი ენა, ხოლო დიალექტების ჩათვლით შეიდასზე მეტი. ამთავან შტატების ოფიციალური ენაა თოთბ-

⁴ Ч. Лоукотка, Развитие письма, М., 1950.

მეტი, რომელთაგან თვითუფლებზე ათ მილიონ კაცზე მეტი ლაპარაკობს. მაგრამ ინდურ ენათა უმრავლესობა ისეთია, რომელზედაც ათასობით, ათი ათასობით კაცი ლაპარაკობს და ისეთი ენებიც მოიპოვება, რომელზედაც მხოლოდ ასულობით ადამიანი საუბრობს. დამწერლობა კი 35-მდე ენაზეა, რომელთაც თავთავისი ანბანი აქვთ. ასეთ ვითარებაშიც ინდოეთის ეროვნული მთავრობის ცდა ამ ქვეყნის საერთო ენად ელიარებინათ ჰინდი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენა, სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა.

მოსახლეობის 1959 წ. აღწერის მონაცემებით, საბჭოთა კავშირის სკოლებში სწავლება ტარდებოდა 85 ენაზე, ხოლო უმწერლობო ენების რაოდენობა ცხადია, ბევრად მეტი იქნებოდა. ენებისა და დიალექტების სიმრავლით ცნობილია კავკასია. მარტო დაღესტანში მათი რაოდენობა ორმოცამდე აღწევს³.

მაგრამ ამ მხრივ უფრო დაწინაურებული ყოფილა თურმე ახალი გვირგვინი, რომლის ორ მილიონამდე ადგილობრივი მკვიდრი ლაპარაკობს 750 სხვადასხვა ენასა და ურიცხვ დიალექტზე. ჩინეთის 700 მილიონიანი მოსახლეობის ენა იყოფა ათეულ დიალექტებად.

ენათა სიმრავლე ახასიათებთ არა მხოლოდ ცალკეულ ხალხებს. ევროპის 425 მილიონიანი მოსახლეობა (სსრკ გამოკლებით) 120 ენაზე ლაპარაკობს. ისეთი ინდუსტრიული ცენტრის, როგორც ნიუ-იორკია, თითქმის 15 მილიონიანი მოსახლეობა დაახლოებით 85 ენაზე ლაპარაკობს.

ასეთ ვითარებაში ნიშანდობლივია, რომ 1959 წ. პარიზს შემდგარ აფრიკელ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა კონგრესზე მიღებული რეზოლუციით, თავისუფალი აფრიკის ასპექტში, დაგმობილია ყველა ცდა საერთო ენად ცნობილ იქნეს კოლონიზატორთაგან შემოტანილი რომელიმე უცხო ნაციის ენა (ინგლისური, ფრანგული და სხვ.).

ახლა საინტერესოა, ვიკითხოთ: როგორია დღეს რომელიმე ხელოვნური, ე. ი. ინტერნაციონალური ენის გავრცელების პერსპექტივა?

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ხელოვნური ენების, მაგალითად, ესპერანტოს შედგენილობა არცთუ ისე ინტერნაციონალურია, კერძოდ, აღმოსავლური ნაციების ენათა თვალსაზრისით.

ამასთანავე, იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად დიდია საერთო, საყოველთაო ენის საჭიროება, საკმარისია აღინიშნოს, რომ ამჟამად მსოფლიო ტურისტულში ჩართულია თითქმის 100 მილიონამდე კაცი, რომლებიც დაახლოებით 400 მილიონჯერ გადადიან სახელმწიფოებრივ საზღვრებს. 1964 წ. XVIII მსოფლიო ოლიმპიადის მომსახურებისათვის ტოკიოში მობილიზებული იყო 1200 მთარგმნელი და 25 000 შტატგარეშე მოყვარული-მთარგმნელი და ესეც არასაკმარისი აღმოჩნდა — ენობრივი ბარიერი მრავალ გაუგებრობასა და უკმაყოფილებას იწვევდა. არანაკლებ აქტუალურია სრული გამოყენება რადიომიმღებთა და ტელევიზორებისა, რომელთა რაოდენობა პლანეტაზე ზოგიერთი ვარაუდით, მალე ერთ მილიარდს მიაღწევს. შეუჩერებელი იზრდება მრავალგვარ საერთაშორისო ორგანიზაციათა რაოდენობა, რომლებიც ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანს აერთიანებენ.

მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხუთასზე მეტი შტატის მთარგმნელი მუშაობს. ახლა უკვე ლაპარაკობენ მთარგმნელთა მსოფლიო ასოციაციის დაარსებისათვის, რათა უნიფიცირებულ მეცნიერულ საფუძველზე

³ Языки народов СССР, т. IX. Иберийско-кавказские языки, М., 1967.

აეწყოს თარგმნის ფრიად რთული და საპასუხისმგებლო საქმე, რათა შემუშავდეს თარგმნის ერთიანი და მაქსიმალურად ადვილგასაგები და ადვილგამოსაყენებელი მეთოდები და ხერხები, რამაც უნდა გააადვილოს ავთენტური მეცნიერული და, საერთოდ, ყოველგვარი ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების საქმე.

ფაქტია, რომ ენების უცოდინარობის გამო თვით მსოფლიო ცივილიზაციების ცენტრებში არსებულ ცენტრალურ ბიბლიოთეკებში ყოველწლიურად ათასობით ახალი წიგნი და ათეულ ათასობით გაზეთი, ეურნალი და სხვ. ლიტერატურული დოკუმენტი გამოუყენებელი, წაუკითხავი რჩება. ამასთანავე ერთი ამერიკელი ბიბლიოგრაფის გამოანგარიშებით, ამათი გამოყენება შესაბამის ქვეყნებს მილიონობით დოლარზე დააზოგვინებდა. ამ ასპექტში მე აქ არაფერს ვლაპარაკობ მანქანური თარგმანის საკითხზე, ე. წ. მოაზროვნე მანქანებზე, რომელთაც ვითომ შეექმლება სხვადასხვა ენებზე თარგმნონ რუსთაველი და შექსპირი, ბალზაკი და დოსტოევსკი, რომელთა სხვა ენაზე სრულქმნილი გადაცემა თვით კონვენიალურ ადამიანებსაც კი უჭირთ⁶.

მხოლოდ მარტივად მოაზროვნე ადამიანს შეუძლია იფიქროს, რომ რთული, ორგინალური მეცნიერული, ვთქვათ, ფილოსოფიური და მხატვრული თხზულების თარგმნას მოახერხებს რაიმეგვარი მანქანა, რომელსაც ამისთვის უნდა შეექმლოს ჩასწვდეს შემოქმედის სიტყვის უკიდვანო სარბიელს, რაც მით უფრო წარმოუდგენელია, რომ ყოველი ასეთი თხზულება წარმოგვიდგება როგორც ახალი სიტყვა, რომლის სრული აღქმა, ათვისება და გაგება არათუ მანქანას, არამედ თვით მის გამომგონებელსაც და პროგრამის გამკეთებელს ძნელად თუ შეეძლება⁷.

უკვე კარგი ხანია, რაც რიგი გამოჩენილი სპეციალისტი იმ აზრისაა, რომ მეცნიერებასა და ტექნიკაში საკვებით არამიზანშეწონილია რომელიმე ნაციონალური ენით სარგებლობა. რამდენადაც ყველა ისინი ამა თუ იმ ასპექტში მაინც არალოგიკურია, არათანმიმდევრული და მოუქნელია.

მაგრამ ასეთ მოსაზრებებს ქადაგებენ განსაკუთრებით სხვადასხვა ხელოვნური საერთაშორისო ენის — Esperanto-ს (ლ. ზამენჰოფი), Ido-ს (ლ. დე-ბოფრინი), Volapük-ს (ი. შლეიერი), Neutral-ის (ვ. როზენბერგერი), Novilatin-ის (ე. ბერმანი), Interlingua-ს (ა. გოული) და სხვ. შემქმნელნი და მათი მომხრენი, მიმდევარნი.

გამოჩენილი მეცნიერები და მეცნიერული ცნობიერების პოპულარიზატორები ჩივიან, რომ მეცნიერული ცოდნის ხალხში გავრცელების ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლება ძნელად ასათვისებელი ტერმინოლოგიის, პროფესიული ენის სირთულე. ამასთანავე შემჩნეულია, რომ სიტყვაქმნადობა ბევრად უფრო მძიმედ (ნელა) ვითარდება, ვიდრე ადამიანის აზრი, რომელიც თავისი გამოთქმის ადეკვატური ფორმის შეუხელებელ ძიებაშია.

კარგა ხანია, რაც გაჩნდა და დამკვიდრდა ცნება და ტერმინი—მსოფლიო მეურნეობა, მსოფლიო ცივილიზაცია, მსოფლიო საზოგადოებრიობა, მსოფლიო ლიტერატურა, მსოფლიო მეცნიერება, მსოფლიო კულტურა და სხვ., რაც, შეიძლება ითქვას, ადეკვატურია შესაბამისი მოვლენებისა, მაგრამ ჯერჯერობით

⁶ А. Цейтлин, Труд писателя. Вопросы психологии творчества, культуры и техники писательского труда, М., 1968.

⁷ Д. Флик, Вычислительные машины и человеческий разум, М., 1968.



კიდევ არაა მსოფლიო ენა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მსოფლიო-ში (თვით საკუთარი ნაციის მიღმა) დიდად გავრცელებულ ენებს, როგორცაა, მაგალითად, ინგლისური, ფრანგული,—არაა მსოფლიო ენა, რომელზედაც რეალურად ლაპარაკობდეს მსოფლიოს ყველა ხალხი და რომელიც, ამგვარად, რეალურ მსოფლიო ფენომენს წარმოადგენდეს.

ენათა მსოფლიო შერწყმის გზით საერთაშორისო ენის წარმოშობის იდეის დამკვიდრებას, ცნობილია, დიდი ენერგია შეაღია ნ. მარმა. იგი წერდა: „როგორც კაცობრიობა შინამრეწველური, დაქსაქსული მეურნეობებიდან და საზოგადოებრიობის ფორმათაგან, მშრომელი მასების შემოქმედებითი ღონისძიებათა ხაზით, მიდის ერთი საერთო მსოფლიო მეურნეობისაკენ და ერთი საერთო მსოფლიო საზოგადოებრიობისაკენ, ასევე ენაც პირველადი მრავალსახეობიდან ვიგანტური ნაბიჯებით მიიწევს ერთიანი მსოფლიო ენისაკენ“⁸.

გარეგნულად აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა. მსოფლიო მეურნეობისაკენ, მსოფლიო კომუნისტური საზოგადოებისაკენ მიმავალმა გზამ, იგულისხმება, ადრე თუ გვიან, უმალღესი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყველა წევრისათვის სახმარ საყოველთაო ენამდე უნდა მივიყვანოს.

მსოფლიო მეურნეობა ნამდვილად არსებობს იმის მეოხებით, რომ, მაგალითად, ინგლისში, საფრანგეთში, აშშ, სსრკ, იაპონიაში, ინდოეთში, ჩინეთში, ალჟირში, ირანში, ეგვიპტესა და საერთოდ ყველა კონტინენტსა და ქვეყანაში წარმოებულ საქონელს (ტანისამოსს, ფეხსაცმელს, ფოტოაპარატს, რადიომიმღებს და ათას სხვა რამეს) თავისუფლად და დაუბრკოლებლად მოიხმარს ყველა კონტინენტის ყველა ნაციის ადამიანი, რომელიც აგრეთვე წაიკითხავს მის ენაზე თარგმნილ ყველა ნაციის ლიტერატურულ ქმნილებას (მსოფლიო ლიტერატურას); მსოფლიო ენა კი არ არსებობს იმის გამო, რომ ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, იაპონურ, არაბულ, სპარსულ, ჩინურ, ბენგალურ, თურქულ, ქართულ, სპარსულ, სომხურ, აფხაზურ, ოსურ წიგნებს ვერ წაიკითხავს, ენას ვერ გაიგებს, მათსადაშე, ვერ მოიხმარს ამ ენების არამკოდნე სხვა ქვეყნის, სხვა ნაციის ასეულ მილიონობით, მილიარდობით ადამიანი, ე. ი. მსოფლიოს მოსახლეობა, რომელსაც შეუძლია არხეინად მიირთვას ინდური და ქართული ჩაი, რუსული და ამერიკული პური, უნგრული და გერმანული ღვინო, ფრანგული და იტალიური კონიაკი, თურქული და ეგვიპტური თამბაქო და ა. შ.

მაგრამ თუ ოდესმე დადგება ისეთი დრო, როდესაც ყველა კონტინენტის, ყველა ნაციის, ყველა ეთნიკური წარმომავლობის ყველა წარმომადგენელს შეეძლება ერთმანეთის ენა ესმოდეს, ე. ი. საყოველთაო სალაპარაკო ლიტერატურული ენა პქონდეს, ბუნებრივია ეს იქნება მსოფლიო ენა—წარმოიქმნება ის რომელიმე ერთი ნაციონალური ენის სრული გაბატონების, თუ სავსებით ხელოვნური, იმთავითვე ზენაციური, და, ამდენადვე, იმთავითვე ინტერნაციონალური ენის სახით.

მაგრამ ასეთი მსოფლიო ენის წარმოქმნა, ვფიქრობ, უკვე თავისთავად გულისხმობს ნაციების, ეთნიკური ჯგუფების მთლიან ლიკვიდაციას თუ არა. იმ ზომით ასიმილაციას და გათქვეფას მაინც, რომ მათ უდიდესი ზომით დეკარგული ექნებათ თავიანთი სპეციფიკურობანი და რაკი ნაციები აღარ იქნებიან, ცხადია, ის ენაც არ იქნება... ინტერნაციონალური...

⁸ Н. М а р р , Яфетическая теория. Избранные работы, т. III. М. - Л., 1934.

ამგვარად, როგორც ჩანს, თანამედროვე სიტყვები ვერ ასახავენ იმ ურთიერთობას, რაც მაშინ იქნება დამყარებული, თუკი ყოველივე ეს უტოპიური რამ არ არის.

თუ მსოფლიო ენა ოდესმე წარმოიქმნება, ცხადია, ის უწინარეს, ე. ი. თავის ჩამოყალიბების პროცესში, წარიმართება მეცნიერების, ტექნიკის ენის ევოლუციის გზით და მან მხოლოდ შემდეგ თუ შეიძლება შეადგინოს მხატვრული შემოქმედების, უაღრესად რთულ ადამიანურ ურთიერთობათა, ყოფიერების, განცდების, ემოციების საოცარი ლაბირინთის, უკიდევანო ვენებათა და მისწრაფებათა სფეროში, რათა შესძლოს მათი სრული ასახვა, სიტყვიერი გამოთქმა, რაც, ჩემი აზრით, არასოდეს არ დაიყვანება კიბერნეტიზაციის დონეზე⁹.

ამ მხრივ, მართებულია ის აზრი, რომ „ენა როგორც ზეპირ და წერილობით შინაარსიან სიმბოლოთა სისტემა, არაა ფორმალური სისტემა და არც შეიძლება აქამდე იქნას დაყვანილი მისი პეშმარიტი ბუნების დარღვევის გარეშე... როდესაც ენა ფორმალიზებულია, ის უკვე ენაა არაა და კოდად იქცევა“¹⁰.

ახლა, თუ თვალშეუდგამ და მიუთხრობელ მომავალს გადავსწვდებით, შეიძლება ისიც ითქვას, რომ, როგორც ცნობილია, ოდესღაც პოეზიის გზით მიდიოდა მეცნიერება. ოდესმე მეცნიერების გზით წავა პოეზია, რადგან ნაციონალური ენებიდან, ცხადია, პოეზია უფრო გვიან გადავა, თუკი საერთოდ გადავა, მსოფლიო ენაზე. ამასთანავე დამაფიქრებელი ის არის, რომ უპოეზიო ენა შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი მსოფლიო ენა, როგორც მსოფლიო საქონელია—ფეხსაცმელი, საწერი ქაღალდი, ავტოკალამი, პური, სათვალე, ტელევიზორი.

ტელევიზორიც კი, თავისი ურთულესი კონსტრუქციის მიუხედავად, გონებრივობის თვალსაზრისით, ფრიად მარტივი რამაა: მას ძალიც კი უყურებს. ამავე დროს არისტოტელეს, რუსთაველისა და შექსპირის წიგნების წაკითხვა და აღქმა მხოლოდ ადამიანს შეუძლია.

ღიღი მოაზროვნენი, მწერლები, პოეტები თვით თავიანთ დედაენაში, ფრიად განვითარებულ ნაციონალურ ენებშიც კი, ძალიან ხშირად ვერ პოულობენ სიტყვებს, რათა საკუთარი განცდები, აზრები, ემოციები გამოთქვან მთელი სიღრმე-სიგანით, მთელი ძლიერებით, ადამიანური განცდები, ემოციები უფრო ღრმად, ვინემ უაღრესად განვითარებული ნაციონალური ენის გამოთქმლობითი უნარი.

ამასთანავე ცნობილია მხატვრულ თხზულებათა, მაგალითად, ლექსების თარგმნის ხელოვნების უდიდესი მოღწევები და ის უდიდესი ჩავარდნებიც, რაც მთარგმნელობის ამ სფეროში აღინიშნება ხოლმე. მაგრამ ბევრად უფრო ძლიერი შეუსაბამობანი და კურობები იჩენენ თავს მაშინ, როდესაც თარგმანიდან თარგმნიან, მაგალითად, ქართულ ლექსს რუსული თარგმანის მიხედვით—ლიტვურ ან უზბეკურ ენაზე. საქმე ისაა, რომ, როგორც გამოჩენილი ლინგვისტები აღნიშნავენ, ყოველი ენა წარმოადგენს მნიშვნელობათა, ნიშნებისა და მათი ნიუანსების უაღრესად თავისებურ, თვითმყოფად და განუმეორებელ სისტემას¹¹.

⁹ იხ. И. Резви и В. Розенберг, Основы общего и машинного перевода, М., 1965; Сб. Машинный перевод, М., 1967.

¹⁰ М. Таубе, Вычислительные машины и здравый смысл, 1964, М., стр. 18.

¹¹ Э. С в а д о с т, Как возникает всеобщий язык, М., 1968; С. Карцевский,

მინც ძველი და ახალი დროის მრავალი გამოჩენილი მოაზროვნე, მეცნიერი ოცნებობდა და ოცნებობს სიკეთეზე საყოველთაო ენისა, რომელიც გასაგები იქნება პლანეტის ყველა მცხოვრებლისათვის. მაგალითად, ლაიბნიციწერდა, რომ „...იმსაყოველთაო ენაზე შეიქმნება პოემები და ჰიმნები, რომელთაც ადამიანები იმღერებენ“. ხოლო ენათა სხვადასხვაობა, ბაბილონიზმი, მას კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს უბედურებად მიაჩნდა... ცნობილია დელორმე-ლის ცდა (1794 წ.), რომ ნაციონალურ კონვენტს (პარიზში) მიეღო საყოველთაო ენის მისი პროექტი.

შემდეგ დიდი ფრანგი უტოპისტები, შ. ფურიე და ე. კაბე, უფრო შორს მიდიოდნენ ვიდრე ტ. მორი და თ. კამპანელა, და აღწერდნენ ისეთ საყოველთაო ენას „სავსებით რაციონალურს, მართალს და უბრალოს, სადაც ყველაფერი იწერება. ისე როგორც გამოითქმის და გამოითქმის ისე, როგორც იწერება, რომელსაც აქვს არამრავალი და ყოველგვარ გამოთქმასებს გარეშე წესები, სადაც ყოველ სიტყვას აქვს, ...სავსებით ზუსტი მნიშვნელობა, რომლის გრამატიკა ისე მარტივია, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია ეს ენა შეისწავლოს 4—5 თვეში“ (E. Cabet, Voyage en Jcarie, 1842).

ისეთი სახელოვანი ლინგვისტი, როგორც იყო ჰუგო შუხარდტი, გაბედულად წერდა მსოფლიო ენის შესახებ, მის მზარდ მოთხოვნებზე¹². XX ს-ის დასაწყისიდან კიდევ უფრო ძლიერდება საყოველთაო ენის არა თუ საჭიროების, არამედ შექმნისა და გაბატონების შესაძლებლობის მჭადაგებელთა რიცხვი—იქნება ის რომელიმე ასე თუ ისე უკვე გავრცელებული ხელოვნური (ესპერანტო¹³, იდო და სხვ.), თუ ნაციონალური (ინგლისური, ფრანგული და სხვ.) ენა. ამასთანავე როგორც რომელიმე ხელოვნური (წარმოქმნიდანვე ნეიტრალური, ინტერნაციონალური), ისე ნაციონალური ენის მსოფლიო, საყოველთაო ენის დონემდე ამაღლების მომხრეებს მოჰყავთ აუარებელი, ფრიად საგულისხმო არგუმენტი, როგორც საკუთარ მოსაზრებათა სასარგებლოდ, ისე მოწინააღმდეგეთა საბუთების გასაბათილებლად.

უკანასკნელ ხანებში არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, რომ რომელიმე ნაციონალური ენის მსოფლიო ენად გამოცხადების ცდა პირდაპირ კავშირშია იმპერიალისტურ ზრახვებთან. ცნობილია მისწრაფება: ისე გააადვილონ, გაამარტივონ ინგლისური ენა, რომ ყველას ადვილად შეეძლოს მისი შესწავლა. ჯერ ინგლისისა და მერმე აშშ ე. წ. მსოფლიო მონოპოლიები ცოტას როდი ცდილობენ, რათა ინგლისური გახადონ საყოველთაო ენად.

1956 წ. შეიქმნა ინტერნაციონალური ინგლისური ენის ასოციაცია, რომელსაც ბინა უდევს ნიუ-იორკსა, ლონდონსა და ქენედაში. ამ ასოციაციას მი-

Язык, война и революция. 1963, Б.; А. Мартине, Принципы экономии в фонетических изменениях. 1960, М.

¹² Г. Шухардт, Избранные статьи по языкознанию, М., 1950.

¹³ თუ რამდენადაა გავრცელებული? მაგ., ესპერანტო. საქმარისთა ითქვას, რომ მის ზოგიერთ ქვეყანაში ასწავლიან სკოლებში, ხოლო ესპერანტოს კურსები იკითხება ოცზე მეტ უნივერსიტეტში. ამ ენაზე გამოცემა ასამდე პერიოდული ორგანო, ესპერანტოს მოკლე სახელმძღვანელო ორმოც ენაზე გამოცემული. ამ ენაზე დაბეჭდილ წიგნთა ყველაზე დიდ პიბლიოთეკაში (ლონდონში 30 000 მეტი სახელწოდების სხვადასხვა გამოცემის ითვლიან, გამოცემულია ესპერანტოს მეცნიერულ-ტექნიკური ლექსიკონები; ზოგიერთი რადიოსადგური რეგულარულად გადასცემს ინფორმაციას ესპერანტოს ენაზე, ესპერანტოში სარგებლობენ რივეტურისტული მიერობები.

ანია, რომ თანამედროვე ცივილიზაციის ვითარებაში უკვე თავისთავად, დღეობა და ღამეობა გარეშე ისე გამოვიდა, რომ ინგლისური ენა შეიქმნა საერთო ენა და პლანეტის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცნობს ინგლისურს, როგორც მსოფლიო ენას.

იმისათვის რომ უფრო მასობრივად გავრცელდეს იგი, ადგენენ ე. წ. „ბეისიკ ინგლიშს“. ცდილობენ გაამარტივონ რთული ინგლისური ორთოგრაფია და სხვ. „ბეისიკ ინგლიშში“ შედის სულ 850 ძირითადი სიტყვა. ამგვარად, თვით მისი ავტორის — ჩ. ოდენის სიტყვით, „ბეისიკ ინგლიშ“ „ისეთი ინგლისური ენაა, რაშიც 850 სიტყვა ასრულებს 200 000 სიტყვის სამუშაოს“.

მოუხედავად იმისა, რომ 1943 წელს „ბეისიკ ინგლიშს“ მხარი დაუჭირეს უინსტონ ჩერჩილმა და პარი ტრუმენმა, ლონდონში შეიქმნა მისი გავრცელების ხელშემწყობი მთავრობის კომიტეტი და სხვ., მაინც ესოდენ ღარიბი, 850 სიტყვიანი, „მსოფლიო ენა“, როგორც მეორე ენა, პლანეტის ყოველ ადამიანთან კავშირის საშუალება, საბოლოოდ, ალბათ, უფრო ადამიანთა გათიშვას გამოიწვევს, რადგან ესოდენ მარტივი და, მასმასაღამე, არასაინტერესო იქნება მათი კავშირის, საერთოდ, ყოველგვარი ადამიანური ურთიერთობის ურთიერთგაგებინების საშუალება. საერთოდ, უნდა ითქვას, ძნელად სავარაუდოა, რომ რაიმე, თუნდაც უაღრესად რთული საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური და სხვ. ვითარების მეოხებით შექმნილი საჭიროება, ამ შემთხვევაში საჭიროება ადამიანთა შორის თუნდაც ფრიად მარტივი კავშირის დამყარებისა, საბოლოოდ დარჩეს და დადგინდეს, როგორც ნორმალური ფორმა ასეთი ურთიერთობისა.

მაგრამ ნაკლებ როდი იბრძოდნენ და იბრძვიან ფრანგული ენის, როგორც საერთაშორისო ენის, გაბატონების მომხრენი, ასევე, გერმანული ენის მოტრფიალენი. მაგალითად, გერმანული ენა ფიხტეს მიაჩნდა განვითარებისა და მსოფლიოში გაბატონების ღირს ერთადერთ ცოცხალ ენად; შემდეგ, შორს რომ არ წავიდეთ, ჟერ კიდევ X ს-ის ქართველი მწერალი იოანე-ზოსიმე ქართულს სთვლიდა მსოფლიო ქრისტიანულ ენად და მას მიაჩნდა, რომ მეორედ მოსვლისას თვით ღმერთი მხოლოდ ამ ენაზე განიკითხავდა ხალხს.

მაგრამ რომელ საუკუნესა და სიტუაციაშიც არ იყოს წარმოქმნილი ასეთი ზრახვები, ისინი ყველგან და ყოველთვის, ცხადია, მეტნაკლები ზომით, მაგრამ უპირატესად მაინც პატრიოტული იდეებით არიან ნასაზრდოები¹⁴.

*
*

როგორც არ უნდა იყოს, ბოლო ხანებში ლინგვისტების საერთაშორისო კონგრესებზე, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე სულ უფრო გაბედულად ისმის მსოფლიო (საყოველთაო) ენის საკითხი.

ერთი რამ უდავოა: უკვე წარმოიქმნენ ისეთი ნაციონალური ენები, — მაგალითად, ინგლისური — რომლებიც როგორც სალაპარაკო, როგორც ადამიანთა კავშირის, როგორც მეცნიერების, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა (დიპლომატიის და სხვ.) ენები, ამა თუ იმ ზომით, გავრცელდნენ ყველა კონტინენტზე და დღეს პრაქტიკულად წარმოადგენენ ერთგვარ ინტერნაციო-

¹⁴ Н. К р е й н, Французские заимствования XIX в. в английском литературном языке, 1963, М.; А. М о л ь, Теория информации и эстетическое восприятие, 1966, М.



ნალურ ენებს. გავრცელებას პოულობენ ხელოვნური (ესპერანტო და სხვ.) ენები; მაგრამ ნაციონალური, ადგილობრივი ენები კვლავინდებურად განაგრძობენ არსებობასა და განვითარებას ტექნიკისა და მეცნიერების, საერთოდ ცივილიზაციის პროგრესის შესაბამისად.

ინდოეთში, ჩინეთში, ამ უდიდეს ქვეყნებში, გავრცელებულია ინგლისური, მაგრამ ინდოელი განათლებული მწერლები კვლავინდებურად წერენ თავიანთ ლექსებს და რომანებს ჰინდის, ურდუს, ბენგალურსა და სხვ. შესაბამის ენაზე. უაღრესად ინტერნაციონალური გრძნობებით გამსჭვალული პოეტი, რომელმაც საფუძვლიანად იცის რომელიმე უცხო ენა, ლექსებს, როგორც წესი, თავის ნაციონალურ ენაზე წერს; სხვა ენა, თუნდაც ისეთი განვითარებული, როგორც ინგლისურია, მას არ ჰყოფნის, — ისე უღვევი და უკიდევანოა მისთვის საკუთარი, თუნდაც რომელიმე მცირერიცხოვანი ნაციის ენა — დედაენა, რომლის კდერადობას, გამომთქმელობითს ძალას, რომლის მხოლოდ წარმოთქმასაც კი სულ სხვა ემოცია, აღქმა და აღმაფრენა შეუძლია გამოიწვიოს როგორც თვით პოეტში, ისე მის მკითხველში. დღეს სასტიკი ბრძოლაა მსოფლიოში გაბატონებისათვის, ერთი მხრივ, ფართოდ გავრცელებულ ნაციონალურ ენებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, ხელოვნურ ენებს შორის და, ამასთანავე, ნაციონალურ და ხელოვნურ ენებს შორის.

საყოველთაო (მსოფლიოს) ენა, რამდენადაც ის ოდესმე შეიქმნება კაცობრიობის ისტორიული განვითარების უმაღლეს საფეხურზე, როგორც ნეიტრალური, ინტერნაციონალური ენა, ფიქრობენ, ალბათ, მოგვევლინებაო ისეთივე გამოგონების სახით, როგორც შიგააფეის ძრავას, ელექტროენერგიის, კიბერნეტიკის, რადიოს, ტელევიზიის, ატომური ენერგიის, ზებგერითი ავიაციის და სხვ. მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენა იყო, ხოლო მის გავრცელებას უზრუნველყოფს კიდევ რაიმე საოცარი მეცნიერული აღმოჩენა (გამოგონება).

ამასთანავე ნათელია, რომ როგორი დიდი განსხვავებაც არ უნდა იყოს მიწაზე სათრევ მარხილსა და თვლებიან (ბორბლიან) ურემს (ეტლს) შორის, ტივსა და ნავს შორის, იალქნიან ხომალდსა და ორთქლის გემს შორის, რკინიგზასა და ავტოტრანსპორტს შორის, თვითმფრინავსა და კოსმოსურ რაკეტას შორის, ყველაფერი ეს მხოლოდ ტექნიკისა და მეცნიერების, ე. ი. ადამიანის მიერ გაკეთებული იარაღების (გაწყობილობათა, აპარატების, მანქანების) პროგრესის საფეხურებს აღნიშნავს.

—ენა?—ენაც ვითარდება ცივილიზაციის პროგრესის შესაბამისად, მაგრამ... აქ ის მაგარი მაგრაჰაა, რომ ენა თვით ადამიანის განუყოფელი ნაწილია. ადამიანთა საზოგადოებასთან ერთად დაბადებული. ენა არ შეიძლება მოვაცილოთ ადამიანს როგორც ფეხსაცმელი, ქუდი; ენაში ვერ შევა (ვერ ჩაჯდება) ის, ვინც წაიყვანს ზებგერითს თვითმფრინავს; ენიდან ვერ გამოვა ისიც. ვინც გამოვა კოსმოსური რაკეტიდან... ენა, ისე როგორც გონება (ჭკუა), უაღრესად ადამიანურია და უფრო მეტად,—ვინემ ყოველივე სხვა ადამიანური ფენომენი. ენა არ შეუქმნია არც სოკრატეს, არც არისტოტელეს, არც არქიმედს, არც სოფოკლეს, არც პომპროსს, არც დანტეს, არც რუსთაველს, არც ომარ ხაიმს, არც შექსპირს, არც გოეთეს, არც დარვინს, არც დოსტოევსკის, არც უატს, არც მარქსს, არც აინშტაინს.

მეცნიერების, ტექნიკის, მწერლობის ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლებს ისღა შეუძლიათ, რომ რამდენიმე სიტყვით გაამდიდრონ ენა, რომლიც ნამდვილი შემქმნელია მთელი ხალხი, ნაცია. აქამდე ყოფილა შემთხვევები,

რომ ადამიანს, გენიოსს, მსოფლიოს დიდი ნაწილის ხალხისათვის თავზე მიიწვევით, ვეფიო თავისი იდეები, თავისი საკუთარი რწმენა და მისწრაფება. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სხვა ენაზე მოლაპარაკეს სხვა ნაციისათვის თავს მოეხვიოს თავისი საკუთარი ენა. ყოფილა შემთხვევები, რომ ძლიერ მრავალრიცხოვან დამპყრობლებს თავის ენა, იძულების მეტნაკლები ძალითა და ხერხებით, როგორც ოფიციალური ენა, თავზე მოეხვიათ დაპყრობილი ხალხებისათვის, მაგრამ მხოლოდ დროებით, დამპყრობელის ზეობის პერიოდში. მრავალი ხალხი მთლიანად აღგვილა მიწის პირიდან ისე, რომ მათი არსებობის დადასტურებას ხშირად მხოლოდ მათი ენის გადმონაშთები წარმოადგენენ ხოლმე. ენა, ამ მხრივ, თვით ხალხზე უფრო ცხოველმყოფელი ჩანს.

ენა ადამიანთა კავშირის აუცილებლობით წარმოქმნილი განსაკუთრებულ ნიშანთა სისტემაა; „ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა“¹⁵; ენა, როგორც შემოქმედებითი ინტუიციის გამოვლინების (ინფორმაციის, კომუნიკაციის) ნიშნობრივი სუბსტრატი, თვით ადამიანის აზროვნების, ცნობიერების, განვითარების პირველი აუცილებელი პირობაა; ენა, როგორც ნომინაციის საშუალება, ამასთანავე პრაქტიკულად, სინამდვილეში არსებულ ცნობიერებას (აზრას)¹⁶; მაგრამ, მაინც, ენის ევოლუცია ყოველთვის კვალდაკვალ როდი მიჰყვება მოცემული ნაციის, კულტურისა და თვით რასის განვითარებას¹⁷.

ენა შეიძლება შორს გაცვილდეს თავისი წარმოქმნის ადგილთა საზღვრებს და გავრცელდეს სულ სხვა რასისა და კულტურის ხალხებში. ცნობილ ინგლისელ ლინგვისტს ე. სეპირს მოაქვს იმის მაგალითებიც, რომ ენა სულ გამჭრალა თავისი თავდაპირველი წარმოშობა-დადგენების ზონებში და შენახულა და არსებობს სულ სხვა გეოგრაფიულ სივრცეში, თანაც იმ ხალხებში, რომლებიც ოდესმე მტრობდნენ და ებრძოდნენ მათ, ვინც ოდესღაც წარმოშვეს ეს ენა.

ენის გავრცელების არეალს არამცთუ კულტურული, თვით რასობრივი ბარიერიც არ ზღუდავს. მაგალითად, ინგლისური ენა უკვე დიდი ხანია, რაც არაა ერთი რომელიმე რასის ენა. ამერიკაში ორი ათეული მილიონი ზანგია, რომელთაც სხვა ენა არ იციან. ინგლისურია როგორც თვით ინგლისის დედოფლის, ისევე ამ ზანგების დედაენა, რომელზედაც ლაპარაკობენ და წერენ ისინი თავიანთი ყველაზე სპეციფიკური რასობრივი მიხედვისა და მისწრაფებათა შესახებ.

მაგრამ მეცნიერებამ დიდი ხანია, რაც დაადგინა, რომ თვით ინგლისური ენის პროტოტიპიც უცხოა იმ რასისათვის, რომელსაც ანგლოსაქსები მიეკუთვნებიან. თანაც, აბა, რაოდენ მნიშვნელოვანია ის უახლესი ენობრივი ფენომენიც, რომ ერთენოვანი ინგლისი და აშშ სხვადასხვა კულტურის ნაციებს წარმოადგენენ. ეს იმას მოწმობს, რომ ენობრივი ერთიანობა არ შეიცავს და, მაშასადამე, საბოლოოდ არც ნიშნავს კულტურულ ერთიანობას, მაშინ როდესაც ამ ხალხებს ცივილიზაციის, პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული და სხვ. განვითარების ერთიანი სისტემა არ აკავშირებს. მაშასადამე, ენა, ნაცია, კულტურა (იდეოლოგია, რელიგია და სხვ.) და რასა, თუმცა არ გამოირჩეხავენ, მაგრამ არც ქმნიან ურთიერთ შესაბამისობის აუცილებლობას.

¹⁵ ვ. ლ ე ნ ი ს ი, თხზ., ტ. 20, გვ. 483.

¹⁶ К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 3, стр. 28—30.

¹⁷ М. Попович, О философском анализе языка науки, 1956. Киев.



ენობრივი ევოლუციის პროცესი არ იზღუდება ნაციონალური და თვითნაკლებობის საზოგადოებრივი განვითარების ფარგლებით. ნაციონალური კულტურა, საერთოდ კულტურა და მთლიანად ისტორია თავის მოძრაობაში ასახავს საზოგადოებრივი წარმოების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების, საერთოდ მატერიალური და მორალური ყოფიერების პროცესში მიმდინარე სოციალურ ცვლილებებს, გამოცდილებას, გამარჯვებებსა და დამარცხებებს, წარმატებებსა და ჩამორჩენებს. ენის მოძრაობა ნაკლებად და ამოკიდებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა შინაარსში მიმდინარე ცვლილებათაგან.

საერთოდ, „ბევრითი ენა კაცობრიობის რატორიაში ერთ-ერთი ის ძალა, რომელიც დაესმარა აღამიანებს გამოპყოფონენ ცხოველთა სამყაროს, გაერთიანებულიყვენ საზოგადოებებად, განევითარებინათ თავიანთი აზროვნება, მოეწყათ საზოგადოებრივი წარმოება, წარმატებით ებრძოლათ ბუნების ძალებთან და მიედწიათ იმ პროგრესისათვის, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს“¹⁸.

შეიძლება იცვლებოდეს ენის, სიტყვის, კონკრეტული ცნების გაგება, ისე რომ ფორმა გამომთქმელობისა, მისი ელფარადობა აბსოლუტურად მყარი რჩებოდეს.

ყოველივე ეს, ცხადია, იმასაც ნიშნავს, რომ ენის შინაარსი საზოგადოებრივი კულტურის პროდუქტია. ენის ლექსიკური ფონდი ასახავს მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს იმ კულტურისა (საზოგადოებისა), რომელსაც ემსახურება, ისე რომ თვითონ თითქმის არასოდეს არ რჩება მთლიანად და მხოლოდ ამ კულტურაზე დამოკიდებული, მისი განვითარების ფარვატერი შეიძლება ბევრად უფრო ფართო იყოს. ენა ისეთი საოცარი ფენომენია, რომ თავის ფორმაში ნახულობს (ღებულობს) დაუსრულებლად მრავალგვარ ფერს, რათა ასახოს (გამოხატოს) უსასრულოდ მრავალგვარი საზოგადოებრივი და ბუნებრივი მოვლენა, რომელთა დანახვა, აღქმა, გონებრივი გააზრება, გაკეთება და გამოცდილებითი გაცვლა-გაზიარება აღამიანს (საზოგადოებას) შეუძლია.

მართალია, ღოდ ხელოვნებაში ჩნდება აბსოლუტური თავისუფლების ილუზია, მაგრამ ნამდვილად ხელოვნების ყველა დარგში აღამიანის მოსწრაფებას ზღუდავს მასალა: მოქანდაკეს — ქვა, ბრინჯაო; ფერმწერს — საღებავები, ტილო; მუსიკოსს — ვიოლინო, როიალი; მსახიობს — სცენა, დეკორაცია... მაგრამ აღამიანის ფანტაზიის აღმაფრენა მაინც ყველგან ნახულობს ახალ-ახალი წარმატების საფეხურებზე ამაღლების საშუალებას, მაინც აღამიანის ემოციურ სამყაროში ყველაზე უსასრულო და უკიდევანო სარბიელი მხატვრული ენის ოსტატს ეკუთვნის.

ენა ყველაზე მასობრივი, მრავალშინაარსიანი და გამძლე ფორმაა ტანჯვისა და სიყვარულის, დამარცხებისა და გამარჯვების, სიმახინჯისა და მშვენიერების, მწუხარებისა და სიხარულის, ინდივიდისა და კოლექტივის სანუკვარ ოცნებათა გამოთქმელობისა, მატერიალიზაციისა (—დაწერისა) და, მაშასადამე, როგორც თანამედროვე, ისე მომავალ თაობებზე გადაცემისათვის.

ენა წარმოსახვისა და მეცნიერული ცნობიერების გაზიარების უმნიშვნელოვანესი და ყველაზე უნივერსალური იარაღია.

მოქანდაკე ებრძვის უშინაარსო მარმარილოს (ბრინჯაოს), რათა ის მის წარმოსახვაში დაბადებული ფორმით აამეტყველოს, გააშინაარსიანოს; პოეტი ებრძვის უკვე ფორმირებული და შინაარსიანი სიტყვების არმიას და მისი გა-

¹⁸ ი. ს. ტ ა ლ ი ნ ი , მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950. თბ., გვ. 44.

დაჯგუფების და დაჯგუფების სპეციფიკური ხერხებით ქმნის მხატვრული მეტყველების ფორმისა და აზრის ახალ და საოცარ სამყაროს. ასეთი სამყარო აჩუქებს ხალხებს რუსთაველმა, დანტემ, შექსპირმა.

პოეტი სიტყვაზე, იმავეითვე ნაციონალურ მასალაზე, ხოლო მოქანდაკე პარმარილოზე, ყოველგვარი ეთნიკური ნიშნისაგან განყენებულ (გამოთიშულ) ბუნებრივ მასალაზე მუშაობს, ამდენადვე გაგებინების, გავრცელებადობის ფეხსახარისით იღვია (შინაარსი) ხელოვნების ენობრივი ქმნილებისა განსაზღვრულ ორბიტაში, ხოლო პლასტიკური (სახვითი) ქმნილებისა უსასრულო არეალში მოძრაობს.

სიტყვასთან ბრძოლაში გამარჯვება მით უფრო ძნელია, რაც უფრო დიდი და განვითარებული კოლექტივის გამოთქმელობის ხელოვნებას (იარაღს) წარმოადგენს იგი. დიდი კოლექტივის ენა(-სიტყვა)ქმნადობის ვრცელ და ღრმა შორეულ მილიონობით რიგითი ინდივიდუალური თავისებურება შეუმჩიევლად (უყველოდ) დაინთქმის და მხოლოდ გიგანტების ხედვრია, დარბილებული ცვილივით საკუთარი მეტყველების, თავისი თითების, თავისი სტილის (კალმის) მოძრაობას, როგორც არმია დიდი მხედართმთავრის ბრძანებას, დაუმორჩილოს მთელი ნაციის ენობრივი სიმდიდრე და მისი მოძრაობის ფარვატერიც შესამჩნევად გააგანიეროს.

დიდი ფერმწერის, მოქანდაკის ქმნილება, საერთოდ არაენობრივი ხელოვნება, იმავეითვე ინტერნაციონალურია, საყოველთაო მოხმარებისაა. ხოლო რუსთაველის, დანტეს, შექსპირის ქმნილებანი ნაციონალურია. საყოველთაობის (ინტერნაციონალურობის) ორბიტაში ის მხოლოდ მთავარ გმინელობითი ხელოვნების გზით გადის.

სწორედ აქ ეჯახება ერთმანეთს სხვადასხვა ნაციონალური ენები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე, ნაციონალური ენერგიის უძლიერესი ძალებით, იბრძვიან ურთიერთშესატყვისობისა და ეკვივალენტურობისათვის, ურთიერთშელწყვეისათვის.

ამ ბრძოლის სიდიადე ღირსია მსხვერპლისა. მიზანი ამართლებს საშუალებებს. მართალია, ზოგიერთები, მაგალითად, გამოჩენილი იტალიელი ფილოსოფოსი ბენედეტო კროჩე¹⁹, ცნობილი ინგლისელი ლინგვისტი ედუარდ სეპირი²⁰ და სხვანი ამტკიცებენ, რომ მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოები არ ითარგმნებაო, — სხვა ენაზე გადაღებას. გადატანას ვერ იტანსო. — მაგრამ ფაქტია, რომ, მიუხედავად ორიგინალის ენის მხატვრული სიმბოლიკის, გამომთქმელობითი აღქმადობის, წარმოსახვითი წვდომის, ემოციათა აფეთქების და წვის შთელი არსენალის სხვა ენაზე აქლერების ხშირად გადაულახველი დაბრკოლებების არსებობისა და, მამსადამე, აბსოლუტური ეკვივალენტურობის მიუღწევლობისა, — თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა თანამედროვე მსოფლიო კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მდინარებას წარმოადგენს, რომლის გარეშე თვით მსოფლიო ცივილიზაციაც წარმოუდგენელი იქნებოდა.

სულ სხვაა მეცნიერული თარგმანი. მეცნიერული ქვეშარიტება თავისთავად ინტერნაციონალურია და რამდენადაც ის ინდივიდუალურ სპეციფიკურობათა მიღმა დგას, მისი ორიგინალის ენის (სიტყვის, ტერმინის) ეკვივალენტი აღრე

¹⁹ Б. К р о ч е , Эстетика как наука о выражении и как общая лингвистика, М., 1920.

²⁰ E. S a p i r , Culture, Language and Personality, California, 1958; Э. С е п и р , Язык, М.-Л., 1934.



თუ გვიან (მეცნიერული ცნობიერების განვითარების შესაბამის საფეხურებზე) შეიძლება სხვა ენაშიც დაიძებნოს ანდა შეიქმნას ისე, რომ არსებითად დაცული იქნეს მეცნიერული აზრის გამომთქმელობითი სიღრმე და ძლიერება.

დიდი მხატვრული თხზულების ორიგინალის ემოციურობის მთელი ძლიერება ზოგჯერ უაღრესად კონვენიალურ თარგმანსაც აკლია, მაგრამ ეს ზემოთ მოყვანილ დებულებას ზიანს ვერ მიაყენებს. ცხადია, მაინც სულ სხვაა ორიგინალის კითხვით მიღებული დატკობისა და საერთოდ განცდების მწვერვალები, რომელთაგან მხოლოდ იმ ერთს რა შეიძლება შეედაროს: შოთას ენაზე ვეფხისტყაოსნის მკითხველს რომ ექმნება ჭეშმარიტად საოცარი ილუზია — თითქოს მთელი ქვეყანა ქართულად ლაპარაკობდეს.

ვფიქრობ, ეს ისეთი მომენტებია, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ იმ ადამიანებმა, რომლებიც ამჟამად გატაცებულნი არიან იდეით, რათა შეიქმნას რაიმე „ინტერნაციონალური ორგანიზაცია“, რომელიც ახლავე შეუდგება ზრუნვას „მსოფლიო ენის“ შემუშავებისა და გავრცელებისათვის, თანაც ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც გარკვეული ზემოქმედებითი ძალა ექნება ასეთ ღონისძიებათა თანამიმდევრული და სისტემატური გატარებისათვის, რადგან მათი აზრით, ამ მხრივ დაგვიანება თითქოს საზიანოა ინტერნაციონალური ინტერესების თვალსაზრისით, რამდენადაც თითქოს უკვე მიძღინარეობს პროცესი ყველა ნაციონალური ენის შერწყმისა, რასაც გეგმაზომიერი მიმართულება უხდა მიეცეს.

მსოფლიო ენის, თანაც ახლო მომავალში შეცნობადი კანონზომიერების საფუძველზე შექმნის ზოგიერთი მქადაგებელი ფიქრობს, რომ „საერთაშორისო ენა თავისი მასალით არ უნდა იყოს არც დასავლური და არც აღმოსავლური — ის უნდა იყოს სრულიად მსოფლიო, საერთოსაკაცობრიო და არა მხოლოდ ფუნქციების, არამედ, ამასთანავე, თავის შემადგენელი ელემენტების მიხედვითაც“ (ე. სვადოსტი).

ამათ მიაჩნიათ, რომ ამ მიმართულებით შესაძლებელია, გათვალისწინებული იქნეს ესპერანტოსა და სხვა საერთაშორისო ენების პროექტები. მაგრამ სწორედ ეს პროექტები არა საერთო საკაცობრიო, არამედ თითქმის მხოლოდ დასავლური ენების (ევროპოცენტრიზმის) ძლიერი ტრადიციებით არიან შეზღუდული და ამგვარად. არც თუ ისე შორს უსწრებენ ცნობილ ლ. ზამენჰოფს, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს ფიქრობდა, რომ მის მიერ შექმნილი ესპერანტო მხოლოდ საფუძველია, რის მიხედვითაც „შემუშავებული იქნება მომავლის ნამდვილი ინტერნაციონალური ენა“.

საერთოდ გლობალური საჭიროების ინტერესებით ამოქრავებული ინტერლინგვისტები ხშირად საკმაოდ მიაშიტურ საფუძველზე აშენებენ თავიანთ იდეებს.

ერთ-ერთი უახლესი ცდა ასეთი ენის შექმნისა ეკუთვნის ტოკიოელ ინტერლინგვისტს ფ. ოკამოტოს, რომელმაც 1962 წ. გამოაქვეყნა თავისი „მსოფლიო ენა“, რაც ლათინური აბრევიატურით იწოდება BABM, ხოლო გამოითქმის Babomu. ფ. ოკამოტომ ღრმა მოხუცებულობაში შეიმუშავა თავისი ახალი პროექტი და ის ფიქრობს, რომ ახლო მომავალში შეიქმნება სრულიად მსოფლიო თანასაზოგადოებრიობა, სადაც საყოველთაო ენა აბსოლუტურად აუცილებელი გახდება...

ნეტარ არიან მორწმუნენი!

სოციოლოგთა შორის არის შეხედულება, რომ საყოველთაო ენა შეიქმნე-

ბა (გაჩნდება) მეცნიერულად ყოველმხრივ შესწავლილ და დადგენილ საფუძვლებზე და მიღებულ იქნება თავისუფალი საყოველთაო განხილვის, მოწონების, პრაქტიკულად შემოწმების, მრავალ ქვეყანაში გავრცელების და ოფიციალურად აღიარების შემდეგ; — მას შემდეგ, რაც ყველა სასწავლებელში, დაწესებულებაში, საწარმოში, „კომუნიკაციის ყველა საშუალებით დაიწყება და უადრესად ფართო ხასიათს მიიღებს მისი სწავლება და პრაქტიკული ცოდნა; — მას შემდეგ, რაც იგი გახდება სავსებით ჩვეულებრივი სალაპარაკო და ლიტერატურული ენა და ადამიანთა კავშირის სრულქმნილი საშუალების სახით წარმოუდგება მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას. ამასთანავე ნაციონალური ენები კიდევ დიდხანს იარსებებენ, თანაც როგორც განვითარებადი ენები.

ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ ბოლოს და ბოლოს, საყოველთაო ენის ასეთი საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავებულ პროექტს მოიწონებენ მთავრობები, რაც ხელს შეუწყობს მის საბოლოო დამკვიდრებას. რამდენადაც „საყოველთაო ენა თავისი განსაკუთრებული თვისებებით თავისი გავრცელებულობითა და საყოველთაო გასაგებლობით ყველას მიიზიდავს“.

ეს იმას გულისხმობს, რომ იქნება სხვადასხვა სახელმწიფოები, იქნება სხვადასხვა ნაციები, იქნება საერთაშორისო დაწესებულებები და იქნება მსოფლიო ენა, როგორც ადამიანთა კავშირის საყოველთაო ენა.

რა თქმა უნდა, ფრიად ლამაზი იდეაა; მაგრამ ენა ნაციონალური კულტურის სავსებით განსაკუთრებული ფორმაა როგორც მთელი თავისი ბუნებით, ისე ხანგამძლეობითაც. ენა, მეტყველება, წარმოიშობა გვართა და ტომთა, საერთოდ საზოგადოების პრიმიტიული ფორმების წარმოქმნის უხსოვარ დროს, როდესაც კულტურა და, მამასადამე, ადამიანთა ცნობიერება ძლიერ დაბალ საფეხურზე იდგა. ამიტომაც, რომ რაღი სიტყვა დღეს ჩვენ მოუქნელი, უხეში და ზოგჯერ უსაგნო (უაზრო) გვეჩვენება, — იმდენად დიდი დროითაა ის დაცილებული თავისი გენეზისის საწყისებს, იმდენად კოლოსალურია კულტურული დაშორიშორება და ნაპრალები ადამიანთა დღევანდელსა და ადრინდელ ცნობიერებას შორის.

ნაციონალური კულტურის საყოველთაო გაგების ისეთი ელემენტები, — როგორიცაა მაგალითად, ფერწერა, სკულპტურა, ცეკვა, ტანისამოსი თავისი ორნამენტებით და საყოველთაო მოხმარების საგნები, როგორიცაა გამომცხვარი პური, ღვინო, ფესხაცმელი და სხვ. ისეთებია, რომლებიც ფორმაუცვლელად შედიან საერთო საკაცობრიო მოთხოვნილებების სფეროში და ქმნიან ერთიანი მსოფლიო ცივილიზაციის დაუსრულებელ მრავალფეროვნებასა და მრავალგვარობას.

ფიქრობენ, რომ ენა, ადამიანთა კავშირის უმნიშვნელოვანესი საშუალება, გათიშვის საშუალებად იქცევა, როდესაც ორსავე მხარეს ის არ ესმისო. ეს სწორი არ უნდა იყოს. როდესაც ერთმანეთის პირისპირ დგას რუსი და ქართველი, ან ჩინელი და ინდოელი, ინგლისელი და ჩეხი და მათ ერთმანეთის ენა არ ესმით, ენა მათი გათიშვის საშუალება არაა, ის მხოლოდ მათი კავშირის საშუალების როლს ვერ ასრულებს. შეიძლება ისეთი პირობაც წარმოვადგინოთ, რომ მათ ერთმანეთის ენა (ანდა ერთიმეორის ენა) იცოდნენ და მაინც არ ესმოდნენ ერთმანეთის, მაინც ურთიერთგაგებას ვერ მიაღწიონ.

საქმე ისაა, რომ ენა არა მხოლოდ ერთფეროვან საგნებსა და მოვლენებს ასახავს. ქვა ყველასთვის ქვაა; ცხელი, ყველასთვის ცხელია; წითელი ყველას-



თვის წითელია. მაგრამ შეხედულებათა, მორალის, სამართლიანობის, სხვადასხვა ნაციის, და ბოროტების ამსახველი სიტყვები სხვადასხვა ნაციის, და თვით ერთი ნაციის, სხვადასხვა წარმომადგენელს შეიძლება სხვადასხვანაირად ესმოდეს. ხოლო ნაციონალური ენის (დედაენის) სიყვარული მხოლოდ დიდმპყრობელს, მხოლოდ შოვინისტს შეუძლია დაგმოს, როგორც ნაციონალიზმის, ე. ი. როგორც სხვა ნაციათა ენების უპატივცემლობის გამოსახულება. პლანეტაზე რომ ყველა ადამიანი ერთ ენაზე ლაპარაკობდეს, ეს ისეთივე იქნება, რომ დედამიწაზე ყველა ყვავილს ერთი ფერი ჰქონდეს. სინამდვილეში მათი და თვით ყველაზე პოლიფონიური სიმღერების ჰარმონიულობა მათს მრავალფეროვნებაში, მათს მრავალხმიანობაშია.

ბუნებათმეცნიერების უახლესი მიღწევების ასპექტშიც ადამიანთა საზოგადოების თვითეული (სხვადასხვა) კულტურა „წარმოადგენს ტრადიციულ პირობითობათა ჰარმონიულ წონასწორობას, რომელთა მეოხებით ადამიანთა ცხოვრების დაფარული პოტენციური შესაძლებლობანი შეიძლება ისე გაიხსნან, რომ გამოაჩინონ მისი უსაზღვრო სიმდიდრისა და მრავალგვარობის ახალი მხარეები“²¹.

ამ მხრივ უდავოდ საყურადღებოა პროფ. ვაისგერბერის დებულება ენის პირობადებული ყოფიერების შესახებ. ენა და მისი მეოხებით შექმნილი ცოდნა ერთიანობას წარმოადგენს. რამდენადაც სხვადასხვა ენობრივი კოლექტივი სხვადასხვა ენას („ინსტრუმენტს“) ხმარობს, ბუნებრივია, წარმოიქმნება სხვადასხვანაირი „ქვეყნის სურათი“, სხვადასხვანაირი, ურთიერთსაწინააღმდეგო, მსოფლგაგება.

ვაისგერბერი სწორედ ამ ენობრივ განსხვავებულობათა, მაშასადამე, სხვადასხვანაირ „ქვეყნის სურათთა“ მრავალგვარობაში ეძებს ცალკე ენათა სუბიექტურობის დაძლევისა და არსებული ქვეყნის ობიექტური შეცნობის მთავარ საშუალებას.

იგი წერს: „...ყოველი ენა, თავის ისტორიულ განვითარებაში მიჰყვება კანონს, რომელიც მან დასაბამიდანვე მიიღო. რამდენადაც ყოველი ენა თავის ენობრივ კოლექტივში განიხილება როგორც თავისთავად გასაგები და მოცემული რამ, და არავის, მის წევრთა შორის, არა აქვს შესაძლებლობა ჩასწვდეს ქვეყნის ნამდვილ სურათს, რათა გამოიყენოს ის კრიტიკული შეპირისპირებისათვის. ცხადია, ყოველი ენობრივი კოლექტივისათვის წარმოიშობა დაჩიხულობის, მარტოოდენ ერთ შესაძლებლობაზე ორიენტირებულობის საფრთხე; ხოლო ეს ერთი შესაძლებლობა კი მცდარია უკვე იმიტომ, რომ ის ერთადერთია. კაცობრიობას რომ მხოლოდ ერთი ენა ჰქონოდა, მაშინ მისი სუბიექტურობა საშუალოდ განსაზღვრავდა ადამიანის მიერ გარემოსამყაროს შეცნობის გზას. მაგრამ ამ საშიშროებას სპობს ენათა მრავალგვარობა. ენათა მრავალგვარობა ესაა ადამიანური ენის ნაჭის სრული გამოყენების გზათა სიმრავლე... ერთადერთი ენის აუცილებელი ერთმხრივობის წინააღმდეგ ენების სიმრავლე, ხილვის ხერხების სიმრავლის მეოხებით, ხელს უწყობს ცოდნის გამდიდრებას და იძლევა ნაწილობრივი ცოდნის, როგორც ერთადერთი შესაძლებლობის, გადაფასების საშუალებას“²². ეს მომენტი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ენობრივი სამყა-

²¹ Нилс Бор, Атомная физика и человеческое познание, М., 1961, стр. 49.

²² L. E. Weisgerber, Das Gesetz der Sprache, 1951, Heidelberg, S. 171.

როს ხსენებულ ერთმხრივობას (შეზღუდულობას), ვაისგერბერის აზრით, გაძლიერების ტენდენცია ახასიათებს²³.

საერთოდ, ნათელი უნდა იყოს, რომ ენისა და აზროვნების ურთიერთმომართების გნოსეოლოგიური საკითხი, კერძოდ, საოველთაო ენის საკითხი სოციოლოგიური, ფილოსოფიური პრობლემაც არის და, ცხადია, მეცნიერების ყველა დარგის უახლეს მიღწევათა ყოველმხრივი გამოყენების საფუძველზე უნდა იქნეს გაშუქებული.

ქადაგებენ: ერთიანი საოველთაო ენა უდიდესი სიკეთე იქნება კაცობრიობისათვისო. მაგრამ განა ნაკლები სიკეთე იქნება, რომ ადამიანს შეეძლოს ისევე თავისუფლად (ბუნებრივ პირობებში) იცხოვროს ოკეანეში, როგორც ხმელეთზე?

როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ ნათელია და ამას ისტორიული გამოცდილება ადასტურებს: წარმოიქმნება ერთი ან ორიოდ (ზონალური), საბოლოოდ, ალბათ, ერთი, მსოფლიოში საოველთაოდ გავრცელებული და აღიარებული ენა, როგორც სხვადასხვა ნაციის ხალხთა კავშირის საშუალება. თუ რომელი და როგორი იქნება ის ენა — არც ისე ახლო მომავლის ენა — ამაზე ახლა ლაპარაკი უბრალო მარჩიელობაა²⁴.

ერთი საოველთაოდ გავრცელებული მსოფლიო ენა, რისი საჭიროება სულ უფრო გაიზრდება, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს ნაციონალურ ენებს, რომელთა არსებობა და განვითარება საერთოდ კაცობრიობის ცივილიზაციის ევოლუციის ავალდაკვალ წაუა.

²³ იქვე, გვ. 170.

²⁴ Ф. де Сесюр. Курс общей лингвистики, 1933; Л. Быгодский, Мышление и речь, 1934; А. Чикобава, Введение в языкознание, ч. I, 1952; Л. Булаховский, Введение в языкознание, ч. II, 1954; Р. Рудагов, Введение в науку о языке, 1960; Г. Пауль, Принципы истории языка, 1960; К. Левковская, Теория слова, 1962; В. Звягинцев, История языкознания XIX-XX веков в очерках и извлечениях, ч. 1-2, 1960-1965; Сб. Новое в лингвистике, вып. I-IV, 1960-1965; Сб. Теоретические проблемы современного советского языкознания, 1964; К. Bühler, Sprachtheorie, Jena, 1964; A. Gardiner, The Theory of Speech and Language, Oxford, 1967.

F8.957
 4

n 752/307



F8.957
4